



CITY
INSTITUTE
GEORGIA

19 Ingorokva street
Tbilisi 0183
Georgia

Phone +995 322 470104
info@cig.ge
www.cig.ge

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის
ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ლერი მემმარიაშვილს

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის
გამგეობის წევრის, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“
დირექტორის მამუკა სალუქვაძის

განცხადება

GUA_01_02022018

ბატონო ლერი,

მოგესხენებათ რომ, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ თავის ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად ორ წელზე მეტია მუშაობს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე და მისი საბოლოო ვარიანტი წარდგენილი აქვს დამკვეთისთვის - თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ დედაქალაქის მერის შეთავაზების თანახმად, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის შეფასების პროცესში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტებთან ერთად, ჩართულნი იქნენ ადგილობრივი სპეციალისტებიც.

ჩვენ, ბუნებრივია, მივესალმებით ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის საჯარო განხილვებისა და ობიექტური შეფასების პროცესს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ამ პროცესში ქალაქის მერიის მიერ ჩართულ ადგილობრივ ექსპერტებს, ჩვენი აზრით ჩნდება საკმაოდ მართებული კითხვები.

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 21 მაისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადებულ საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების კონკურსში, მონაწილეობა მიიღეს სწორედ იმ პიროვნებებმა, რომლებიც თბილისის მერიის მიერ ექსპერტებად დასახელდნენ გენგეგმის საბოლოო ეტაპის შეფასებისათვის.

კერძოდ, ბატონები გიგა ბათიაშვილი, მერაბ ჩხენკელი, პავლე ძინძიბაძე და ირაკლი ჟვანია სხვადასხვა ჯგუფების შემადგენლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ზემოთაღნიშნული კონკურსის მსვლელობაში და წარმოადგენდნენ აღნიშნული ჯგუფების მიერ თბილისის სამომავლო განვითარების საკონკურსოდ წარდგენილი ხედვების ძირითად ავტორებს (იხ. დანართი 1). მოგესხენებათ, რომ წარმომადგენლობითი საკონკურსო ჟიურის, მათ შორის უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის - „PWC“-ს შეფასების საფუძველზე, გამარჯვება ერგო „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ ხედვას.


Identification code
№: 404496675

მიღებულია
„4“ „2.02.2018გ.

ამდენად, იქმნება სიტუაცია, როდესაც კონკურსში მონაწილე და ვერ გამარჯვებული ხედვების ავტორებმა დღეს უნდა შეაფასონ გამარჯვებული ხედვის ავტორთა მიერ მომზადებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტი, რაც ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მცირე, ეთიკური ნორმების უხეში დარღვევაა და ძირშივე განწირული არაობიექტური შეფასებისთვის.

აქვე გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებასაც, რომ თბილისის სამომავლო განვითარების ჩვენეული და სხვა კონკურსანტთა ხედვები, ხშირ შემთხვევაში კარდინალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და შეუთავსებელიც კი იყო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ აღნიშნული საკითხი, მთელი სერიოზულობით იქნას განხილული საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კომისიაზე და მიეცეს შესაბამისი რეაგირება.

პატივისცემით,



მამუკა სალუქვაძე
დირექტორი